ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №621719

ნომერი: AR1120588

თარიღი : 29.03.2013

გაცემის თარიღი : 03.04.2013

გაცნობის თარიღი : 13.05.2013

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ბელიაშვილი , კინოსტუდიის მოპირდაპირედ , ნაკვეთი 08/113 / ქალაქი თბილისი , ქუჩა ბელიაშვილი , კინოსტუდიის მოპირდაპირედ ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- თამარა ბაღდავაძე პ/ნ 01992005116
- თბილისი ვაშლიჯვარი პ.სარაჯიშვილის ქ. N 2

ნომენკლატურა :

- განხორციელებული მშენებლობის დადასტურება
- IV კლასის ობიექტი

.მშენებლობის ნებართვის რეკვიზიტები.:

- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების ნომერი. : 01/3617
- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების თარიღი. : 28.12.2011

ქ. თბილისის მერიის სსიპ - ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა 29.03.2013 წ №AR1120588 განცხადება,რომლითაც ითხოვთ ქ. თბილისში, ქუჩა ბელიაშვილი, კინოსტუდიის მოპირდაპირედ, ნაკვეთი #08/113 /

ქუჩა ბელიაშვილი, კინოსტუდიის მოპირდაპირედ კერძო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკ. კოდი N01.13.02.008.116) მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის (მრავალფუნქციური ობიექტი - კლასი (რისკის მაღალი ფაქტორით) ვარგისად აღიარებაზე (ექსპლუატაციაში მიღებაზე) უარის თქმის შესახებ ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 29.03.13 წ №ბ-07/30004-16 ბრძანებაში დაფიქსირებული არქიტექტურულ-სამშენებლო დარღვევების დასაშვებობის წერილობითი დადასტურებას.
განგიმარტავთ, რომ „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 24.03.09 წ. №57 დადგენილების 62-ე მუხლის პირველი პუნქტის „პ“ ქვეპუნქტის თანახმად, „ქ. თბილისში (გარდა V კლასისშენობა-ნაგებობებისა) თუ წარმოებული მშენებლობის შედეგად სამშენებლო დოკუმენტში განხორციელდა ცვლილებები, რაც საჭიროებს მშენებლობის ახალ ნებართვას, თუმცა სამშენებლო სამუშაოები დასრულებულია და დამკვეთს უარი ეთქვა შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღებაზე, დამკვეთის მიერ ექსპლუატაციაში მიღებაზე უარის თქმის შესახებ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მშენებლობის ნებართვის გამცემ ორგანოში წარდგენის შემდეგ აღნიშნული ორგანო უფლებამოსილია იმსჯელოს მშენებლობის ნებართვის გაცემის გარეშე უკვე განხორციელებული მშენებლობის ქალაქგეგმარებით მოთხოვნებთან შესაბამისობასა და მისი დასაშვებობის დადასტურებაზე. ასეთ შემთხვევაში, მშენებლობის ნებართვის გამცემი ორგანოს მიერ შეთანხმებული სამშენებლო დოკუმენტისაგან განსხვავებით, ნაწარმოები მშენებლობის დადასტურება ხდება წერილობითი ფორმით. განხორციელებული მშენებლობის გათვალისწინებით მშენებლობის ნებართვის გამცემი ორგანოს მიერ შესაძლებელია მოთხოვნილ იქნეს დამატებითი დოკუმენტაცია. დადასტურების წერილი მშენებლობის ნებართვის განუყოფელი ნაწილია და უნდა დაერთოს ამ დადგენილებით განსაზღვრული სამშენებლო დოკუმენტის ყველა ეგზემპლარს.“

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი და "მშენებლობის ნებართვის გაცემისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

სამსახური ადასტურებს ქ. თბილისში, ქუჩა ბელიაშვილი, კინოსტუდიის მოპირდაპირედ, ნაკვეთი №08/113 / ქუჩა ბელიაშვილი, კინოსტუდიის მოპირდაპირედ კერძო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკ. კოდი N01.13.02.008.116) მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის (მრავალფუნქციური ობიექტი - კლასი (რისკის მაღალი ფაქტორით) ვარგისად აღიარებაზე (ექსპლუატაციაში მიღებაზე) უარის თქმის შესახებ ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 29.03.13 წ №ბ-07/30004-16 ბრძანებაში დაფიქსირებული არქიტექტურულ-სამშენებლო დარღვევებით განხორციელებული მშნებელობის ქალაქგეგმარებით მოთხოვნებთან შესაბამისობას და მათ დასაშვებობას ობიექტის შემდგომი ექსპლუატაციაში მიღების მიზნით.

წინამდებარე წერილობითი დადასტურება განიხილება პროექტის შეთანხმებასა და მშენებლობის ნებართვის გაცემის თაობაზე სამსახურის 28.11.2011 წ №01/3617 ბრძანებასთან ერთად, წარმოადგენს მშენებლობის ნებართვის განუყოფელ ნაწილს და უნდა დაერთოს სამშენებლო დოკუმენტის ყველა ეგზემპლარს.

• აღნიშნულის შესახებ დადგენილი წესით ეცნობოს დაინტერესებულ მხარეებს და ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურს.
• ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.